ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
შესაბამისად საჯარო ინფორმაციის
გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა.შ.

2024 წლის განმავლობაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მათ შორის ხობის მაგისტრატ სასამართლოში) ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 17 განცხადება შემოვიდა:

შემოსული განცხადებებიდან 13 განცხადებაზე - მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 განცხადება, არ დაკმაყოფილდა - 2 განცხადება.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ - თამარ თუნგია კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი, მზექალა ხუსკივაძე - კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი, ელენე ურიდია - ფოთის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ფოთის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე შემოვიდა 2 საჩივარი, აქედან 1 საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო მეორეზე შეწყდა საქმის წარმოება.

საჯარო მოსამსახურის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

თამარა თუნგია Tamara Tungia Digitally signed by Tamara Tungia Date: 2024.12.10

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი